

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებებით*

## **ნინო გორგიშელი**

**პერსონაჟის ენობრივი პორტრეტი**

**დრამატურგიულ ტექსტში**

**და მისი თარგმანში გადატანის სპეციფიკა**

**(თანესი უილიამსის „ტრამვაი, რომელსაც „სურვილი“**

**ჰქვია“ გ. ჯაბაშვილისა და ლ. ინასარიძის**

**თარგმანების მიხედვით)**

წარმოდგენილი დისერტაციის

## **ავტორეზიუმე**

სპეციალობა: ტიპოლოგიური ლინგვისტიკა

თელავი

2017

ნაშრომი შესრულებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიისა და უცხო ენებისა და ლიტერატურის დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი: **ნუნუ გელდიაშვილი,**  
პროფესორი  
**მანანა ღარიბაშვილი,**  
პროფესორი

შემფასებლები: **თამარ ლომთაძე,**  
პროფესორი  
**ნიკოლოზ ფარჯანაძე,**  
პროფესორი

დაცვა შედგება 2017 წლის „\_\_\_\_“ \_\_\_\_\_, \_\_\_\_\_ საათზე იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე: კორპუსი \_\_\_\_\_ აუდიტორია \_\_\_\_\_

მისამართი: საქართველო, თელავი, 2200  
ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N 1  
ტელ: +995 (350) 27 24 01

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და ვებ-გვერდზე: <http://tesau.edu.ge>

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
**პროფესორი: ნინო კოჭლოშვილი**

## სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი „პერსონაჟის ენობრივი პორტრეტი დრამატურგიულ ტექსტში და მისი თარგმანში გადატანის სპეციფიკა (ტენესი უილიამსის „ტრამვაი, რომელსაც “სურვილი” ჰქვიას” გ. ჯაბაშვილისა და ლ. ინსარაძის თარგმანების მიხედვით), შედგება შესავლის, 3 თავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან, რომელიც მოიცავს ქართველ და უცხოელ ავტორთა შრომებსა და ინტერნეტ-წყაროებს.

შესავალში გაანალიზებულია საკვლევი თემის აქტუალობა, კვლევის მიზნები, ამოცანები, კვლევის მეთოდები, მეცნიერული სიახლე, მისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება.

**საკვლევი საკითხის აქტუალობას** განაპირობებს ის, რომ მასში პირველად კულტურათმორისი კომუნიკაციის ჭრილში განხილულია ტენესი უილიამსის „ტრამვაი, რომელსაც “სურვილი” ჰქვიას“ ორი ქართული თარგმანი. ჩვენი არჩევანი ნაწარმოების მხატვრულმა ღირებულებამ და ესთეტიკურმა და შინაარსობრივმა მრავალპლანიანობამ განაპირობა. გარდა ამისა, ჩვენი ინტერესი თემის მიმართ ამ დრამის სემიოტიკურ ფაქტურათა მრავალფეროვნებამაც გააღრმავა. ასეთებია: ნაწარმოების დრამატურგიული ტექსტი, მისი კინოვერსიისა და თეატრალური დადგმის არსებობა. ამ ფაქტორების ერთიანობა ნაწარმოების (და, აქედან გამომდინარე, ერთიანი მოვლენის) თეორიული გააზრების საშუალებასაც იძლევა.

**კვლევის მიზანია:** ტენესი უილიამსის ენობრივი სამყაროსა და ენობრივი ცნობიერების ასახვის თავისებურების გამოკვლევა „ტრამვაი, რომელსაც “სურვილი” ჰქვიას“ ქართულ თარგმანებში და ურთიერთმიმართებების დადგენა, ასევე, დრამის პერსონაჟების ენობრივი პორტრეტების წარმოჩენა და თარგმანებში მათი ასახვის მექანიზმების გამოვლენა და შეფასება; ენობრივი ექსპრესიის ხარისხის დადგენა; ნათარგმნ ტექსტებში ასახული კულტუროლოგიური ხასიათის მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების ტიპებისა და მიზეზების შესწავლა.

აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, დავისახეთ შემდეგი **ამოცანების** გადაწყვეტა: (1) გამოვიკვლიოთ დრამატურგიული ნაწარმოებების ფუნქციონალური თავისებურებანი (როგორც საკითხავი ტექსტის, ასევე პოტენციური დადგმისთვის განკუთვნილი) შესაძლო თეატრალური ინტერპრეტაციისა და მაყურებლის პოზიციის გათვალისწინებით; (2) გამოვაკვლინოთ დრამის „ტრამვაი, რომელსაც “სურვილი” ჰქვია“ კულტურულ-

ქანობრივი და სტილისტური სპეციფიკა და მისი ასახვა თარგმანებში; (3) გავმიჯნოთ ენათა განსხვავებითა და მთარგმნელის ინდივიდუალური გადაწყვეტილებებით გამოწვეული გადახრები ორიგინალის ტექსტისგან; (4) დავადგინოთ, თუ რამდენად შეესაბამება თარგმნილ ნაწარმოებში ასახული კულტუროლოგიური ინფორმაცია ორიგინალში მოცემულ ავტორისეულ ჩანაფიქრს; (5) გამოვავლინოთ და გავაანალიზოთ ტენესი უილიამსის ენობრივი სამყაროსა და მხატვრულ-ფუნქციური სტილის რაგვარობის განმსაზღვრელი და მისი ენობრივი ცნობიერების მასაზრდოებელი წყაროები.

**ნაშრომის სამეცნიერო სიახლე:** ტენესი უილიამსის დრამის („ტრამვაი, რომელსაც “სურვილი” ჰქვია“) თარგმანები წარმოადგენს აღნიშნული ტექსტის ორიგინალისა და მისი ქართული თარგმანების კომპლექსური შეპირისპირებითი ანალიზის პირველ მცდელობას; ნაშრომში თეორიულად გაანალიზებულია დრამატურგიული ტექსტის ორგვარი ბუნება და გამოჯნულია მისი თარგმანის ორგვარი სტრატეგია, რომელიც ნაწარმოების სემიოტიკურ ფაქტურას უკავშირდება; უილიამსის დრამის („ტრამვაი, რომელსაც “სურვილი” ჰქვია“) მხატვრული ენის, ავტორისა და პერსონაჟების ენობრივი ცნობიერების, ენობრივი სამყაროს სურათ-ხატის კვლევა ინტერდისციპლინური ანალიზის ობიექტი ჯერ არ ყოფილა; სიახლეს წარმოადგენს ტროპული, სახეობრივი აზროვნების ენობრივი მარკერების გამოვლენა და მათი გადმოტანის ეფექტიანობის შეფასება თარგმანებში; ენობრივი ექსპრესიის ხასიათის დადგენა.

### **კვლევის მეთოდები:**

**კვლევის პროცესში გამოვიყენეთ** ლინგვოსტილისტური **აღწერის მეთოდი** (დრამატული ნაწარმოების ლინგვისტური და სტილისტური თავისებურებების დახასიათება); ორიგინალისა და თარგმნილი ტექსტების **კროს-ტრანსლატოლოგიური (შედარებით-შეპირისპირებითი)** ანალიზი. კვლევის **რაოდენობრივი მეთოდი** დაგვეხმარა ქართულ და ინგლისურ საანალიზო წყაროებში მოძიებული დადებითი და უარყოფითი ემოციების რაოდენობრივ შედარებასა და პროცენტული მაჩვენებლების დადგენაში. **სისტემურობის პრინციპი**, რითაც შესაძლებელი ხდება მწერლის ენობრივი ცნობიერების, ენობრივი სამყაროს თავისთავადობის განმაპირობებელი ენობრივი და სამეტყველო ზოგადი ტენდენციების, კანონზომიერების დადგენა, ტიპიზაცია და ენობრივი სამყაროს კონსტიტუციის გამოვლენა—განსაზღვრა.

**ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება:** ნაშრომის თეორიული ღირებულება მდგომარეობს დრამატურგიული ტექსტის რთული

სტილისტური სტრუქტურების თარგმანის შესაძლებელი ხერხების გამოვლენასა და შემდგომი განზოგადებისთვის ემპირიული საფუძვლის შექმნაში.

**თეორიული მნიშვნელობა** აქვს აგრეთვე დრამის სემიოტიკურ სტრუქტურაში ინდივიდუალური ენობრივი სამყაროს სურათ-ხატის ნაციონალური ენობრივი სამყაროს სურათ-ხატთან მიმართების ზოგადი კანონზომიერებისა და ტენდენციების დადგენას.

ნაშრომის **პრაქტიკული ღირებულება** განისაზღვრება იმით, რომ მასში განხილულია დრამატურგიული ტექსტის თარგმნასთან დაკავშირებულ პრობლემათა ფართო სპექტრი. კვლევის პროცესში მიღებული შედეგები საინტერესოა, როგორც ლინგვისტიკის, ისე მწერლის შემოქმედების შესწავლის, ასევე, თარგმანის ზოგადი პრინციპების კონკრეტული რეალიზაციის თვალსაზრისითაც. კვლევა, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს, სალექციო ან/და პრაქტიკულ კურსებში; სასწავლო და მეთოდური მასალების შედგენისას ისეთი კურსებისათვის, როგორცაა, მაგ.: „ლინგვოკულტუროლოგია“, „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“, „კულტურათმორისი კომუნიკაცია“, „მხატვრული ტექსტის თეორია“, „დრამატურგიული ტექსტის ტიპოლოგია და თარგმანი“, „ეთნოლინგვისტიკა“ და სხვა.

**ნაშრომის სტრუქტურა:** ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან; მოიცავს 211 გვერდს; ასევე, ერთვის გამოყენებული ლიტერატურისა და საანალიზო წყაროების ჩამონათვალი.

## **ნაშრომის ძირითადი შინაარსი**

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს ტენესი უილიამსის დრამის „ტრამვაი, რომელსაც “სურვილი” ჰქვია“, ქართული თარგმანების შეპირისპირებითი და სემიოტიკური ანალიზი. კვლევის მასალად გამოყენებულია გიორგი ჯაბაშვილისა და ლევან ინასარიძის ქართული თარგმანები, ტექსტის შესაბამისი თეატრალური და კინოვერსიები.

ტენესი უილიამსის „ტრამვაი, რომელსაც “სურვილი” ჰქვია“ ორი ქართული თარგმანი განხილულია კულტურათმორისი კომუნიკაციის ჭრილში. ნაშრომში გათვლისწინებულია დრამის, როგორც სინთეტური ხელოვნების, დიალექტიკური ბუნება და ორგვარი მოდუსი, რომელიც ერთდროულად ლიტერატურასა და თეატრს უკავშირდება. დრამატურგიული ნაწარმოების თარგმნის პროცესში გამოვლინდა ერთი კულტურული კოდთან მეორეზე გადასვლის განმსაზღვრელი ფაქტორები.

მიუხედავად იმისა, რომ დრამატურგიული ტექსტის თარგმანის პრაქტიკულ გამოცდილებას საქართველოში საკმაოდ მდიდარი და საინტერესო ისტორია აქვს, სამწუხაროდ, დღის წესრიგში არ დამდგარა პრაქტიკაში დაგროვილი ემპირიული მასალის თეორიული განზოგადება. დრამატურგიულ ტექსტში აისახება ცოცხალი ენობრივი პროცესები, რაც უმნიშვნელოვანეს მასალას წარმოადგენს შესაბამისი ენების შესწავლის საქმეში, ხოლო მათი გადმოტანის ადეკვატური შესაძლებლობების ძიება თარგმანში საშუალებას გვაძლევს, კულტურათა დიალოგის პრობლემის კვლევას ემპირიული დასაბუთება მოვუძებნოთ. ჩვენ არჩევანი შევაჩერეთ თანამედროვე ამერიკული დრამატურგიის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელ ტენესი უილიამსის დრამაზე – „ტრამვაი, რომელსაც “სურვილი” ჰქვია“. მასალის არჩევისას გავითვალისწინეთ მისი მხატვრული ღირებულება და ესთეტიკური და შინაარსობრივი მრავალპლანიანობა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ აღნიშნული ნაწარმოები სხვადასხვა სემიოტიკური ფაქტურით არის წარმოდგენილი (დრამატურგიული ტექსტი, კინოვერსია, თეატრალური დადგმა) და სხვადასხვა ენაზეა თარგმნილი, რაც მოვლენის თეორიული გააზრების საშუალებასაც იძლევა.

## თავი I

### თქმის ჟანრობრივი ტიპოლოგია და დრამატურგიული თქმის თარგმანის პრინციპები

პირველი თავი მოიცავს სამ ქვეთავს: 1.1. თარგმანის შეფასებისა და ინტერპრეტაციის ძირითადი პრინციპები; 1.2. ტექსტის ჟანრობრივი ტიპოლოგია; 1.3. დრამატურგიული ტექსტის სპეციფიკა და მისი თარგმნისა და ადაპტაციის პრობლემები.

დისერტაციის პირველ ქვეთავში წარმოდგენილია თეორიული დებულებები, დაბუსტებულია ტერმინ „თარგმანის“ მნიშვნელობა, განხილულია თარგმანის შეფასებისა და ინტერპრეტაციის ძირითადი პრინციპები, რაც უშუალოდ უკავშირდება ტექსტის ჟანრობრივი ტიპოლოგიის პრობლემას და საშუალებას იძლევა განისაზღვროს დრამატურგიული ტექსტის სპეციფიკა და მისი თარგმნისა და ადაპტაციის საკითხები.

მეორე ქვეთავი ტექსტის ტიპოლოგიას ეძღვნება. სათარგმნი ტექსტები პირობითად იყოფა ინფორმაციულ და მხატვრულ ტექსტებად. მხატვრული ტექსტები მოიცავს მხატვრული ლიტერატურის, ლიტერატურული კრიტიკისა და პუბლიცისტიკის ჟანრულ მრავალფეროვნებას. მათ ორი ძირითადი ფუნქცია

აკისრიათ: ზემოქმედებითი და ესთეტიკური. ასეთ ტექსტებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გადმოცემის ფორმა, ნაწარმოების ესთეტიკური ღირებულება და მისი ემოციურ-ექსპრესიული ზემოქმედება მკითხველზე. ინფორმაციული თარგმანის ძირითადი ფუნქცია კი არის რაიმე სახის ინფორმაციის გადმოცემა და არა მხატვრულ ესთეტიკური ზემოქმედების მოხდენა მკითხველზე.

სწორედ მთარგმნელობით სტრატეგიასა და ტექსტის ჟანრობრივ ნაირსახეობას შორის არსებული შინაგანი კავშირია განხილული მეორე ქვეთავში.

დრამატული ნაწარმოების ტექსტში კომუნიკაციის სხვადასხვა სფეროებზე და განსხვავებულ ადრესატზე (მკითხველზე და მაყურებელზე ) ორიენტირებული დომინანტური ნიშნების თანაარსებობა მთარგმნელს ორმაგ სტანდარტს უყალიბებს: დრამატურგიული თარგმანის პროცესში მოიაზრება არა მარტო პიესის ტექსტის ენათშორისი ტრანსფორმაცია, არამედ მისი თეატრალურ ტექსტად ტრანსფორმაციის პერსპექტივასაც. აქედან გამომდინარე, თარგმანსა და დადგმას შორის მყარდება პირდაპირი ურთიერთგავლენის დამოკიდებულება — ყოველი კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისას მთარგმნელი უნდა ხელმძღვანელობდეს სპექტაკლის მთავარი იდეის შესახებ წარმოდგენით.

დრამატურგიულ ტექსტს, რომელიც შემდგომი დადგმისათვისაა განკუთვნილი, საკუთარი სტრუქტურული თავისებურებები გააჩნია, რომლებიც მას “სახიობითს“ ხდიან. შესაბამისად, მთარგმნელის ამოცანაა, გამოავლინოს ეს სტრუქტურები და თარგმანის ენაზე გადაიყვანოს, თუნდაც ამან გამოიწვიოს ცვლილებები ლინგვისტურ და სტილისტურ პლანში. ენა, რომელზედაც დაწერილია პიესა, წარმოადგენს რთული აუდიოვიზუალური ნიშნების სისტემის ერთ-ერთ ელემენტს. ამასთანავე ტექსტი შეიცავს ჟესტიკულაციურ ქვეტექსტსაც, რომელიც განსაზღვრავს მსახიობის მოძრაობას სცენაზე სპექტაკლის დროს. განსხვავებით კითხვის პროცესისგან, რომელიც წარმოადგენს ცალკეული მკითხველის კონტაქტს ტექსტთან, სპექტაკლის მაყურებელი კოლექტიურ სუბიექტს წარმოადგენს, ამიტომ მთარგმნელმა ტექსტი უნდა აღიქვას როგორც თეატრალური დადგმის ელემენტი, რომელიც რთულ მიმართებაშია პუბლიკასთან.

## **თავი II**

### **ტენესი უილიამსის ავტორისეული დისკურსი და ლინგვოპერსონა**

მეორე თავი შედგება ორი ქვეთავისაგან: 2.1. ტენესი უილიამსის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები; 2.2. ტენესი უილიამსის ლინგვოპერსონის ზოგადი დახასიათება.

პირველი ქვეთავი ტენესი უილიამსის შემოქმედებასთან დაკავშირებული ტერატურათმცოდნეობაში არსებული შეხედულებების ზოგად ანალიზს მოიცავს და შესაძლებლობას გვაძლევს გამოვკვეთოთ მისი შემოქმედების ძირითადი მასაზრდოებელი მოტივები, რომლებმაც მწერლის ლინგვოპერსონოლოგიური სპეციფიკა განაპირობა. მისი შემოქმედების თავისებურება წარმოჩენილია სხვადასხვა ლიტერატურული მიმართულების წარმომადგენელთა პოზიციიდან და გააზრებულია ეპოქის კონტექსტში.

ტენესი უილიამსის ლინგვოპერსონის ზოგადი დახასიათება მისი შემოქმედების ძირითადი ტენდენციების საფუძველზეა წარმოდგენილი. ამ პარამეტრებით უილიამსის შეფასება საინტერესო სურათს გვაძლევს:

1. უილიამსის, როგორც ენობრივი პიროვნების ფსიქოლოგიური დახასიათება ეფუძნება მის ინტრავერტულობას, რომელიც აისახა როგორც ცხოვრების წესში, ასევე შემოქმედებაში. ის ტემპერამენტით მელანქოლიკია, თუმცა არ უჭირს ადამიანებთან ურთიერთობა.

2. უილიამსის, როგორც ენობრივი პიროვნების, სოციოლოგიური ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მისთვის დამახასიათებელია ურთიერთობის მაღალი რეგისტრი, ვერბალური და სოციალური კოდების ცოდნა და პრაქტიკაში გამოყენების უნარი, რაზეც ელიტარული ენობრივი პიროვნებისთვის დამახასიათებელი ინდიკატორები მიუთითებენ.

3. უილიამსის, როგორც ელიტარული საზოგადოების წარმომადგენლის, ენობრივი სამყარო საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია. მწერლის ენობრივი პიროვნება ვერბალური და არავერბალური მახასიათებლების ერთობლიობაა, რომლითაც დეტერმინირებულია მისი შემოქმედებითი სამყაროთი.



### თავი III

## ენობრივი კორტრეხები „ტრამვი, რომელსაც „სურვილი“ ჰქვია“ სტრუქტურაში და მათი ლინგვოპერსონოლოგიური სპეციფიკის ასახვა თარგმანებში

მესამე თავი შედგება სამი ქვეთავისაგან: 3.1. ლინგვოპერსონოლოგიური გალერეა; 3.2. პიროვნების ენობრივი მარკერები და “უთარგმნელობის” პრობლემა; 3.3. პერსონაჟთა ენობრივი ექსპრესიის მახსიათებლისთვის მხატვრულ დისკურსში.

პირველ პარაგრაფში განხილულია ნაწარმოების როგორც მთავარი, ისე მეორეხარისხოვანი პერსონაჟების ლინგვოპერსონა, გამოვლენილია მათი სოციო-ფსიქოლოგიური მარკერები და ქცევითი სტრატეგიები. სწორედ ამ ფაქტორთა გათვალისწინებით ხდება გ. ჯაბაშვილისა და ლ. ინასარიძის თარგმანების შეფასება.

ბლანშის ლინგვოპერსონოლოგიური სპეციფიკა ვლინდება ვერბალურ და არავერბალურ საშუალებათა ინდივიდუალური მარაგის პრაქტიკული გამოყენებისა და კომუნიკაციის ინფორმაციული, ექსპრესიული და პრაგმატული ფუნქციების აქტუალიზაციის უნარში. მის არსენალშია ელიტური ენობრივი პიროვნებისთვის დამახასიათებელი სოციალური მარკერები: ციტატები, ალუზიები, ანდაზები და ა.შ. მას მოჰყავს ციტატა ელიზაბეტ ბრაუნინგიდან: – „And if God choose, I shall but love thee better — after — death!"; აქვს წარმოდგენა ფლორენციულ მხატვრობაზე: – „It's Delia Robbia blue"; პრეცედენტული ფუნქციით იყენებს შედარებას ედგარ პოს სამყაროსთან: – „Only Mr. Edgar Allan Poe! – could do it justice!"; იცნობს სხვადასხვა ჟანრის მუსიკას; ოსტატურად იყენებს სიტყვათა თამაშს – მიჩს მოიხსენიებს „My Rosenkavalier”—ად, რითაც მიანიშნებს რიჰარდ შტრაუსის კომიკურ ოპერის პერსონაჟზე(რაც ქართულ თარგმანებში არ იგრძნობა).

ბლანშის ენა საკმაოდ მდიდარია ფრაზეოლოგიკით.

„The blind are leading the blind!”

“მკვდარი მკვდარს აეკიდაო!” (ჯაბ.35).

“ბრმა ბრმას აეკიდაო!” (ინ.30).

ბლანშის ენა შეიცავს უცხოენოვან ფრაზებს:

„Vous ne comprenez pas? Ah, quelle dommage!”(მთარგმნელებს უცვლელად გადმოაქვთ).

ბლანშის მეტყველებაში ვლინდება აფექტური და ინტელექტუალური კომუნიკაციის მახასიათებლები — ირონიის, იუმორისა და ქვეტექსტის გრძნობა,

რაც თავს იჩენს ენობრივ მარკერებში. ბლანშის ენობრივი პორტრეტის თარგმანში ასახვისას გამოიკვეთა მთარგმნელთა არაეთვავაროვანი მიდგომა და ზოგიერთ შემთხვევაში უზუსტობანიც:

“They think a girl thirty ought to — the vulgar term is—“put out.”... And I — I’m not “putting out.”

“მაგათ ჰგონიათ, თუ ქალმა ოცდაათს გადააბიჯა, მაგათებურად რომ ვთქვათ, უკვე „ჩამოსაწერია“. მე კი ჩამოსაწერობას ბევრი მაკლია”(ჯაბ.66).

“...მითუმეტეს, როცა ქალი ოცდაათს ზევითაა. მათი აზრით, ბალზაკის ასაკის ქალი, უხეშად რომ ვთქვათ, ცხრა ნაბადზეა გადამხტარი. მე ჯერაც არ დავლილვარ „ხტუნაობით“(ინ.61).

ამ ეპიზოდის თარგმნისას გ.ჯაბაშვილი იყენებს ლექსემას „ჩამოსაწერია“, რასაც ლ.ინასარიძე საკმაოდ უხეშ გამოხატულებას „ცხრა ნაბადზეა გადამხტარი“ უპირისპირებს. ასევე ამატებს ფრაზას „ბალზაკის ასაკის ქალი“.

წმინდა ქართულად ჟღერს ფრაზების – „Why, you precious thing, you!“(-“უი, შენ შემოგველოს ჩემი თავი!“ (ჯაბ.64) და –“ოქრო ხარ!“ (ინ.59); – „Why, you precious thing, you!“ (-“ოჰ, ვაი, ვაი, ვაი ჩემს თავს(ჯაბ.67) და –“ღმერთო დიდებულო, ღმერთო... ღმერთო, შენ მიშველე”(ინ.61) თარგმანები.

ბლანშის ლინგვოპერსონისთვის საკმაოდ შეუფერებელია ფრაზის – „Why — set us up in a — shop!“ ჯაბაშვილისეული თარგმანი – „სადმე მაღაზიაში გამოგვჭიმოს“(ჯაბ.53). ეს ფაქტი არისტოკრატი ქალის აღფრთოვანებას ნაკლებად უნდა იწვევდეს. უფრო ბუნებრივია ინასარიძის თარგმანი — „საქმის წამოწყებაში რომ დაგვეხმაროს... სადმე პატარა მაღაზია რომ ჩაგვედგა, თუნდაც ჯიხურისოდენა”(ინ.49), მაგრამ ფრაზა „თუნდაც ჯიხურისოდენა“ ასევე შეუსაბამობას ქმნის და 90-იანი წლების თბილისის ასოციაციას უფრო იწვევს.

მიუხედავად ცალკეულ შემთხვევებში არსებული სტილური შეუსაბამობებისა, მთარგმნელებმა შეძლეს მკითხველამდე მოეტანათ ბლანშის „ენობრივი პიროვნების“ სოციო-ფსიქოლოგიური თავისებურებანი, სამეტყველო ურთიერთობის სტილი და დისკურსული შესაძლებლობები.

პიესის პერსონაჟთა შორის სტენლის პიროვნება ყველაზე საინტერესოა. საქმე გვაქვს ცოცხალ ენობრივ სტიქიასთან, რომელსაც იმპულსები არეგულირებენ. გარდა ეთნიკურისა მას სოციალური კომპლექსიც აწუხებს, რაც დიუბუბთან ურთიერთობაში აისახება.

ურთიერთობის ზოგადი კულტურა ძალზე კარგად ვლინდება სტენლის მიმართვის კულტურაში და ძირითადად ირონიას გამოხატავს:

“...baby”; – “ჩემო სულივო”(ჯაბ.25); – “გოგონი”(ინ.22).

“Put it in English, greaseball!”; -“...შე ობროდო!”(ჯაბ.113); -“...შე გრიზერო”(ინ.109).

ფორმა „greaseball”-ს გ.ჯაბაშვილი ჟარგონიზმით გადმოსცემს, ინასარიძე კი ფორმა „გრიზერით” და განმარტავს როგორც მექსიკელთა დამცინავ წოდებას აშშ-ში.

სტენლის ბუნებისთვის დამახასიათებელია აგრესიულობა, რაც მის სამეტყველო ტაქტიკაში ვლინდება:

“Hurry back and well fix you a sugar-tit“.

“დროზე მოდი რა, თორემ გიპწკენტ...”(ინ.32).

“მალე მობრუნდი და ძუძუს გაწოვებთ”(ჯაბ.37).

ინასარიძის თარგმანში, შენარჩუნებულია დაცინვის თემა, მაგრამ დაკარგულია მოტივი. ჯაბაშვილი ახერხებს შეინარჩუნოს ხუმრობის მოტივი — მიჩის “დედის ბიჭობა“.

სტენლის კოლეგებთან ურთიერთობა უხეში ხუმრობებითაა გაჯერებული.

მის მეტყველებაში ხშირია ამერიკანიზმები, მათ შორის გრამატიკული „gonna”(It's gonna be all right again), „Toots, Yep”(ნო! - ცხენის გასაჭენებელი შეძახილი), “loco-nuts”(სულელი), რომელთაც ფუნქციონალური ეკვივალენტები მოეძებნა; ამერიკულ სლენგური გამოთქმები, მაგალითად, „to be swindled“ ჯაბაშვილმა “ხიმაწკობა”(ჯაბ.25), ხოლო ინასარიძემ “გაცურება” მიუსადაგა(ინ.22).

სტენლის პიროვნებისთვის სრულიად გაუმართლებლად მიგვანჩია ინგლისური სლენგური გამონათქვამის „You're goddam right“ ჩანაცვლება წმინდა ქართული ფრაზით „მართალი ბრძანებაა, შენ ნუ მომიკვდები“(ჯაბ.88), რაც გამონათქვამს კომიკურ ელფერს აძლევს.

სტელა დიუბუას ენობრივი პიროვნება შეესაბამება იმ ინტენციურ პროგრამას, რომელიც უილიამსმა ჩადო თავის გმირში. მთარგმნელები მისდევენ ავტორისეულ ინტენციას და ახერხებენ სოციოკულტურული მახასიათებლების შენარჩუნებას. ცალკეული უზუსტობების მიუხედავად, სტელას ენობრივი პიროვნება მართებულადაა ასახული.

სტელას მეტყველებაში ლიტერატურული ენა დომინირებს, თუმცა გვხვდება სოციალური გარემოთი და აფექტით განპირობებული ცალკეული გადაცდომები:

“Drunk - drunk - animal thing, you!”

“ისევ დათვერი განა, ...დათვერი, ხომ შე პირუტყვო!”(ჯაბ.45).

“მთვრალი ხარ, გამომტყვრალი, საქონელო!”(ინ.40).

კნინობითი მნიშვნელობით ნახმარ ტერმინებში „different species“ („ჯიში“ (ჯაბ.16); „მოდგმა“ (ინ.13), და „a mixed lot“ („ნარევი ტიპები“ (ჯაბ.15); „ჭრელი ხალხი“ (ინ.13) კარგად გამოიხატება მისი სნობიზმი.

სტელას მეტყველებაში გვხვდება სლენგიზმები (shot in it) და სხვა სოციალურად მარკირებული სიტყვები და კონსტრუქციები, რაც სტენლის წრესთან მჭიდრო ურთიერთობამაც განაპირობა. ამავდროულად, ქართულ თარგმანში გვხვდება სოციალური დიალექტის ფორმები, რომლებიც არ არის ორიგინალში: „არჩევენ საქმეებს“ (ინ.55), „სტივს წაეჩხუბა“ (ჯაბ.61), „She and Steve had a row“.

გაუმართლებლად მიგვაჩნია ორიგინალის სტილისტურად ნეიტრალური ფრაზის სტელას ლინგვოპერსონისათვის შეუფერებელი დიალექტური ფორმით გადმოტანა ქართულში რაც, ჩვენი აზრით, მის მეტყველებას პროვინციულ იერს აძლევს.

მიჩის ვერბალურ საშუალებათა ინდივიდუალური მარაგი საკმაოდ მწირია ბლანშთან და სტელასთან შედარებით. სრულიად განსხვავებულია მიჩი თავის წრეში, სადაც მისი ლექსიკა-ფრაზეოლოგია გაცილებით მრავალფეროვანია. აქ უკვე გვხვდება ჟარგონიზმები (სლენგი):

“Anyone want a shot?”

“ვის გინდათ დალევა?” (ჯაბ.36).

“ვისკი... უნდა ვინმეს?” (ინ.31).

სალაპარაკო და მდაბიური ლექსიკა:

“Aw, go rut”.

“წინ იყურე არაფერი შეგეშალოს” (ჯაბ.37).

“წადი შენი...” (ინ.32).

სლენგური ფორმა “I oughta go” ჯაბაშვილთან გადმოტანილია ემოციურად დამუხტული ფრაზით – „ჯობია გუდა-ნაბადი ავიკრა და შინისკენ გავუტოლო“, ხოლო ლ. ინასარიძესთან გვაქვს მარტივი გამონათქვამი „შინ წასვლის დროა“.

მიჩს კომპლექსები აწუხებს.

“A man with a heavy build has got to be careful of what he puts on him so he don't look too clumsy”.

“ჩემი აღნაგობის კაცმა ჭკუით უნდა ჩაიცვას, თორემ ზონზროხა გამოჩნდება” (ინ.68).

“ჩემნაირმა მძიმე ტანის კაცმა ცოტა მსუბუქედ უნდა ჩაიცვას” (ჯაბ.73).

ფრაზა „heavy build“ ჯაბაშვილს კალკით „მძიმე ტანი“ გადმოაქვს, ხოლო ინასარიძე დიალექტურ “ზონზროხას” იყენებს.

იუნისი სტენლისა და მისი მეგობრების სამყაროს ნაწილია, რომელიც თავი-სებურ კომუნასავით ცხოვრობს: „We own this place so I can let you in“.

გამოლაპარაკების ფამილარული სტილი, განსაკუთრებით მიმართვის ფორმა, მიგვანიშნებს იუნისის სოციალურ სტატუსზე:

„What's the matter, honey? Are you lost?“

“საყვარელო, გზა ხომ არ აგებნათ?” (ჯაბ.7).

“რა გნებავთ, საყვარელო, გზა აგებნათ?” (ინ.6).

იუნისის ხასიათი კარგად ჩანს შემდეგ ეპიზოდებში, რომლებშიც მთარგმნელები მეტ-ნაკლებად ახერხებენ შესაბამისი ენობრივი რესურსების მოძიებას:

„Quit that howling out there an' go back to bed!“

“მორჩი მაგ ბლავილს და გასწი, დაიძინე!” (ჯაბ.45).

“გეყოს ღრიალი! დროზე საწოლში” (ინ.42).

„You stinker! You whelp of a Polack, you!“

“ჰაი, შე ყიამყრალი, პოლონელის ნაბუშარო!” (ჯაბ.47).

“საძაგელო! პოლონელის ნაშიერო!” (ინ.42).

საკმაოდ ემოციურია მისი აღშფოთება ქმრის ქცევის გამო:

„I heard about you and that blonde!“

“გავიგე, რასაც ხიმანკლობთ შენ და ის ქერა გომბიო” (ჯაბ.60).

“იმ ქერასთან დაეთრევი” (ინ.55).

ორიგინალში აღშფოთება საერთო განწყობით და არა ენობრივი ფორმით იგრძნობა. გ.ჯაბაშვილიცა და ლ.ინასარიძეც ცდილობენ აღშფოთების აქტის ვერბალიზაციას მოახდინონ. პირველი თავის საყვარელ ფორმას „ხიმანკლობთ“ იყენებს, ხოლო მეორე გვთავაზობს საკმაოდ უხეშ გამონათქვამს – „დაეთრევი“.

იუნისის არანორმატიული მეტყველების ეკვივალენტის ძიებისას გ.ჯაბაშვილი ზოგჯერ გაუმართლებლად იყენებს კუთხურ დიალექტურ ფორმებს, რაც კომიკურ შთაბეჭდილებას ქმნის.

„You hush, now!“ — “ჩუმად, ქა!” (ჯაბ.7).

„ Sure, honey. Why don't you set down?“ — “მომიკვდეს თავი, საყვარელო, რატომ არ დაჯდებით?” (ჯაბ.9).

იუნისისთვის შეუსაბამოდ ჟღერს ქართველ ებრაელთა მეტყველებისთვის დამახასიათებელი მიმართვა – „დაგენაცვლე“ და ფორმები „შენი ჭირიმე“, „შენ შემოგველე“:

“ოჰ, თუ ასეა, ახლავე გაგეცლებით, დაგენაცვლეთ...” (ჯაბ.10).

“ნუ, ჩემო კარგო, ნუ შენი ჭირიმი, შენ შემოგვევლე, აქ იყავ, ნუ მიხვალ იქ...” (ჯაბ.121).

უილიამსის ტექსტების სცენურობა იმაში გამოიხატება, რომ პერსონაჟების „პრემენტაციისას“ სრული წარმოდგენა გვექმნება, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ის სცენაზე. სტივის ლინგვოპერსონას ზუსტად შეესაბამება მდაბიური მეტყველება:

„That rutting hunk!”

“ოჰ, ეგ ჩათლახი!” (ჯაბ.61).

“უჰ, ეგ გაქუცული ძუკნა ეგა!” (ინ.56).

„Hey, are we playin' poker tomorrow?”

“მაშ ხვალ პოკერს ვთამაშობთ?” (ჯაბ.20).

“ხვალ სადამოსკენ წაუპოკეროთ?” (ინ.17).

ფორმა „playin“ –ს ინასარიძე ზუსტად არგებს ახალგაზრდულ-ჟარგონულ „წაუპოკეროთ“.

„Don't you throw that at me!”

“ასე მაგრად ნუ მექაჩები, თუ ქალი ხარ!” (ჯაბ.60).

“გაწიე ხელი დედაკაცო!” (ინ.56).

ორივე ფრაზა ქართულად კუთხურად ჟღერს.

მიუხედავად იმისა, რომ სტივი მეორეხარისხოვანი პერსონაჟია, მისი სახე საკმაოდ დასამახსოვრებელია ენობრივი სპეციფიკის გამო.

პაბლო მეორე რიგის პერსონაჟია, რომელსაც ახასიათებს ლინგვოპერსონოლოგიური სპეციფიკა და (მისი წრის სხვა წარმომადგენლებით) მდაბიური მეტყველება:

„Sure he's got ants now”.

“ეკლები ერჭობა უკან” (ჯაბ.41).

“არა, ბიჭო! შვიდი ხუთიანი მოიგდო ჯიბეში და კიდევ არ აუჩუჩუნდეს?!” (ინ.36).

საინტერესოა, რომ ექსტრემალურ სიტუაციებში, აფექტის დროს, ის მშობლიურ ენაზე გადადის:

„Maldita sea to suerte!”

“მალდიტა ტუ სუერტე!” (ჯაბ.113) (გადმოტანილია ტრანსლიტერაციით).

“მალდიტა sea to suerte!” (ინ.109) (განმარტებულია – “არ მიმართლებს”).

პაბლო უხვად იყენებს სალანძღავ სიტყვებს:

„I am cursing your rutting luck”.

“ჯავრი მომდის, რომ აგრე გწყალობს ბედი” (ჯაბ.113).

“დღეს რა გიმართლებს, შე ძალიშვილო!”(ინ.109).

მეორეხარისხოვან პერსონაჟ ზანგ ქალს (ლ.ინასარიძის ვერსია „ზანგის ქალი“ უზუსტობაა, ვინაიდან სულ სხვა შინაარსი აქვს) მეტყველების მდაბიური სტილი ახასიათებს. მისი უხამსი მინიშნება პირველივე ეპიზოდში ნათლად წარმოაჩენს პერსონაჟის სპეციფიკას:

„What was that package he th'ew at 'er?”

“ე რა იყო, ქაღალდში გამოხვეული რომ ესროლა, ჰა? ...რაო, რა დაიჭიო? წამოდგება და თან თავშეუკავებლად იცინის)...”(ჯაბ.7).

“ნეტავ, რა პაკეტი მიუგდო?(წამოდგება და გულიანად გადაიკისკისებს)”(ინ.6).

პერსონაჟის სოციოლექტურ მარკირებისთვის ჯაბაშვილი ტრადიციულ დიალექტურ ფორმებს მიმართავს („ე რა იყო“, „ჯიბიდან გავარდნილი“), რითაც ქმნის ორიგინალის მსგავს თავისებურ განსხვავებულობის ეფექტს, რაც არ იგრძნობა ინასარიძესთან.

პერსონაჟთა ლინგვოპერსონოლოგიური მარკირების გარდა მთარგმნელებს გადასაწყვეტი ჰქონდათ ე.წ. “უთარგმნელი ერთეულების” გადმოტანის პრობლემა, რასაც მეორე ქვეთავი მიეძღვნა.

ონომასტიკით, რეალიებითა და ფრაზეოლოგიზმებით წარმოდგენილი ე.წ. „უთარგმნელი ერთეულები“ ასახავენ კულტურის საკვანძო კონცეფტებს, რომლებშიც ვლინდება სამყაროს ეთნოსპეციფიკური ხედვა. მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქციის გარდა დრამატურგიული ტექსტის სტრუქტურაში მათ, როგორც პერსონაჟების ინდივიდუალურ მარკერებს, მათი ინტენტივობის ეფექტიც გააჩნიათ.

„უთარგმნელი ერთეულები“ საკვლევ მასალაში განსხვავებული ნაირსახეობებითა და განსხვავებული ფუნქციით არიან წარმოდგენილი. ისინი კონტექსტუალურ და ინტერტექსტუალურ კავშირებში არიან ჩართულნი და ნაწარმოების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ, რაც მთარგმნელების წინაშე მდგარ ამოცანას საკმაოდ ართულებს და ტექსტობრივი მასალის ორმაგ დეკოდირებას მოითხოვს.

„უთარგმნელი (უეკვივალენტო) ერთეულების“ განსაკუთრებულ ნაირსახეობას – ფრაზეოლოგიზმებს მხატვრულ-ინფორმაციული ფუნქცია და ექსპრესიული შეფერილობა გამოარჩევს. ანალიზმა გვიჩვენა, რომ მთარგმნელები იცავენ ფრაზეოლოგიურ ერთეულების გადმოტანის რეკომენდაციებს, თუმცა ცალკეული პრაქტიკული გადაწყვეტილებები, რომლებიც ცოცხალ ენობრივ მასალას ეფუძნება და კონკრეტული ტექსტობრივი

სიტუაციიდან გამომდინარეობს, აიძულებს მათ, ზოგიერთ შემთხვევაში, სტილისტური მოტივებიდან გამომდინარე, უარი თქვან ზუსტ ფრაზეოლოგიურ შესატყვისზე. ცალკეულ შემთხვევებში ისინი ფორმით განსხვავებულ, მაგრამ შინაარსობრივად ახლო მდგომ ქართულ ეკვივალენტს პოულობენ, ზოგში კი ინგლისურ ფრაზეოლოგიზმს აღწერითი გზით გადმოგვცემენ, ზოგჯერ კი ქართულ ფრაზეოლოგიზმს იყენებენ იქ, სადაც ინგლისურში თავისუფალი შესიტყვება გვაქვს.

მაგალითად:

„Like a bolt from the blue”.

“პირდაპირ მეხივით დამეცა თავზე!” (ჯაბ.106).

“ამაზე გაკვირვებული ცხოვრებაში არ ვყოფილვარ” (ინ.101).

ორიგინალის შინაარსთან უფრო ახლოა ჯაბშვილის ვარიანტი, რომელიც იდიომას იდიომატური შესატყვისით ანაცვლებს.

ბლანშის მიერ გამოყენებულ ანდაზას „Forewarned is forearmed, as they say!” ორივე მთარგმნელი კონტექსტით განპირობებულ შესაბამის პარემიას უსადაგებს:

“გაჭირვება მაჩვენე, გაქცევას გაჩვენებო!” (ჯაბ.60).

“დღე მეხვალე კაცსაო, თოვლი მოუვა კარსაო” (ინ.55).

იდიომა „The blind are leading the blind!” ორივე მთარგმნელს ეკვივალენტური იდიომით აქვს გადმოცემული.

“მკვდარი მკვდარს აეკიდაო!” (ჯაბ.35).

“ბრმა ბრმას აეკიდაო!” (ინ.30).

საკუთარი სახელები ყველაზე ფართოდ სტენლისთან არის წარმოდგენილი და ფატიკურთან ერთად დაცინვის ფუნქციასთან ითავსებს. სხვა პერსონაჟები მხოლოდ ფატიკური ფუნქციით კმაყოფილდებიან. ონომასტიკური მასალის გადმოტანის საყოველთაოდ მიღებული ძირითადი ხერხებიდან ჯაბაშვილი და ინასარიძე უპირატესობას ტრანსკრიფციასა და ტრანსლიტერაციას ანიჭებენ, რაც ეხმარება მათ პრაქტიკულად, დასძლიონ უცხო გარემოში საკუთარი სახელის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული დიალექტიკური წინააღმდეგობები და თავიდან აიცილონ სუბიექტური შეცდომები და უზუსტობები. მაგ: „New Orleans”. ერთ შემთხვევაში ჯაბაშვილი თარგმნის როგორც “ახალ ორლეანს”, ინასარიძე კი გვთავაზობს ტრანსკრიპტს – “ნიუ ორლეანი”.

„The evening Star”.

“ივინგ სტარი” (ჯაბ.) – ტრანსკრიპტი.



“სალამოს ვარსკვლავი” (ინ.) – თარგმანი.

ტექსტში არსებული ეთნოსპეციფიკური რეალიები გამოხატავენ განსხვავებებს წეს-ჩვეულებებში, შეფასებებში, ქცევებში და წარმოდგენენ მატერიალური კულტურის საგნებსა და მოვლენებს, ეთნონაციონალურ თავისებურებებს, წეს-ჩვეულებებისა და ისტორიული ფაქტების აღმნიშვნელ სიტყვებს, რომელთაც ქართულ ენაში არ გააჩნიათ ეკვივალენტი. თითოეულ პერსონაჟს რეალიათა გარკვეული ტიპი შეესაბამება. თუ ბლანშისთვის და სტელასთვის დამახასიათებელია პრაქტიკულად თითქმის ყველა ტიპის რეალია — დაწყებული ინტელექტუალური სფეროებიდან დამთავრებული ჟარგონიზმებით, იუნისის, პაბლოს, სტივის, ზანგი ქალის არსენალში ძირითადად ჟარგონული და მდაბიური ლექსიკური ერთეულებია წარმოდგენილი. ამ ორ პოლუსს შორის შეიძლება მიჩი და სტენლი მოვათავსოთ.

მთარგმნელების მიერ რეალიათა გადმოტანის ხერხები, ძირითადად შემდეგ ვარიანტებს მოიცავს: ტრანსლიტერაციას, ტრანსკრიპციას, კალკას, ნახევრადკალკას. ამასთანავე ჯაბაშვილი და ინასარიძე მიმართავენ „მიახლოებით თარგმანს“ (იგულისხმება უეკვივალენტო ლექსიკის გადმოტანის ხერხი, როდესაც უცხოური რეალიის აღსანიშნავად სათარგმნ ენაში ხდება ისეთი ერთეულის მოძიება, რომელიც მართალია ბოლომდე არ ემთხვევა საწყის რეალიას, მაგრამ გააჩნია მასთან მნიშვნელოვანი სემანტიკური მსგავსება და შეუძლია მკითხველს განუმარტოს აღსაწერი მოვლენის არსი. “Owl-car” და „ტაქსი“ მართალია, არ არიან იდენტურები, მაგრამ შეუძლიათ თარგმნის პროცესში შესანიშნავად ჩაანაცვლეს ერთმანეთი, ისევე როგორც „coca“-ს ინასარიძე ანაცვლებს “ლიმონათით”(ინ.59). ცალკეულ შემთხვევაში მთარგმნელები საერთოდ ტოვებენ რეალიას.

ტექსტში გვხვდება სხვადასხვა ტიპის ამერიკანიზმები: ტერმინი „bobby-soxer“ აღნიშნავს 40-იანი წლების მოძრაობას, რომელსაც თინეიჯერი გოგონები შეადგენდნენ, ორივე მთარგმნელმა ზუსტი ფუნქციონალური ეკვივალენტი მოუძებნა — „წამოჩიტილი გოგონები”(ჯაბ.) და „კვიკინებიანი გოგონები”(ინ.), რაც შეეხება „drug-store Romeos” ჯაბაშვილის ვარიანტი „უშიფარი ყმაწვილები“, განსხვავებით „უალკოჰოლო ლიმონათით გაჭყეპილ მამლაყინწა რომეოებისგან“, შინაარსობრივად უფრო ზუსტად მიგვაჩნია. ინასარიძემ თავი აარიდა ფრაზის მეორე მნიშვნელობას — „ნარკომანი“ და აქცენტი უალკოჰოლო ლიმონათზე გადაიტანა.

ამერიკანიზმების (gonna, ain't, th'owing) საპირისპიროდ თარგმანებში, ძირითადად ჯაბაშივით, გვხვდება ქართველიზმები, რომლებიც მეტ-ნაკლები ორგანულობით ანაცვლებენ ორიგინალის შესაბამის ფრაგმენტებს. ასეთებია ჯაბაშივილი: “მომამორეთ ეს ღვთის გლახა!”, “ქა... მომიკვდეს თავი”, “დაგენაცვლე”, “შენ შემოგვევლოს ჩემი თავი!”, “მითხარი ერთი, თუ კაცი ხარ” და ა.შ. ინასარიძის: “ოქრო ხარ”, “უკვდავების წყალი”, “იმ ჩემისას”, “მეყოფილება” და სხვ.

უთარგმნელი ერთეულების ნაირსახეობაა სლენგი ანუ ჟარგონული გამონათქვამები, რომელთა გადმოტანისას მთარგმნელები ძირითადად ფუნქციონალურ ანალოგს მიმართავენ. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჟარგონი დროსა და სივრცეში შებლდული მოვლენაა, უნდა ითქვას, რომ ის ძალზე სწრაფად იცვლება, რასაც კარგად ადასტურებს სხვაობა ჯაბაშივილისა და ინასარიძის მასალაში. შევადართო მოძველებული ფორმები – „dainty features”, „looking fresh”, „a very young girl” – “მწყობარი სახე”, “ქორფა იერი”, “ნორჩი გოგონა”(ჯაბ.). თანამედროვე ფორმები: “Hey, come back here”, „I was so exhausted by all I'd been through my – nerves broke”, „Your looks are okay” – “აქედან დაახვიე”, “ველარ გავქაჩე”, “საკაიფოდ გამოიყურები”(ინ.).

მაგალითად:

ჟარგონული ფრაზისთვის „monkey doings?” ჯაბაშივილმა და ინასარიძემ სალაპარაკო კონსტრუქციები – “ეს რა სერიი გავიმართავთ”(ჯაბ. 21) და “ეს რაღაა, კონცერტი გვაქვს?”(ინ.20) შეარჩიეს.

ჟარგონიზმს „wolf”-ს (Is he a wolf?) ჯაბაშივილი უფარდებს აღწერით ვარიანტს „ეგეც ქალებს არის გადაყოლილი?”(ჯაბ.38), ხოლო ინასარიძე სალაპარაკო ფორმას „მექალთანე”(ინ.34).

საინტერესოა მთარგმნელების მიერ წონის ერთეულების გადმოტანისადმი განსხვავებული მიდგომა. ჯაბაშივილი ტრანსკრიფციას ამჯობინებს: უნცია, ფუტი და ღუიმი; ინასარიძე კი შესაბამისი რეალით ანაცვლებს: კვ, სმ. უფრო გამართლებულად მიგვაჩნია ინასარიძისეული ვარიანტი, რომელიც ქართველი მკითხველისათვის უფრო გასაგებია და დამატებით განმარტებას არ მოითხოვს. ქართული და ინგლისური თარგმანების კვლევისას გამოვყავით მეტი ემოციურობით შეფერილი ლექსიკური ერთეულები და ორ ჯგუფად – დადებითი და უარყოფითი ემოციების გამოხატველ საშუალებებად დაყავით. სწორედ ეს საკითხია შესწავლილი მესამე ქვეთავში.

ემოციათა გამოვლინების სხვადასხვა საშუალებები წარმოადგენს ამა თუ იმ ეთნიკური კულტურის წარმომადგენელთა ეროვნული ხასიათის მახასიათებელს და ექსპლიცირდება მათი წარმომადგენლების კომუნიკაციურ ქცევაში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს წინამდებარე კვლევისთვის.

ორიგინალისა და თარგმანის ტექსტების შეპირისპირებითი ანალიზი გვარწმუნებს, რომ ყოველდღიურ კომუნიკაციაში ინგლისური ლინგვოკულტურა ფატიკური ემოციების დიდ რაოდენობას იყენებს, რომლებიც ადრესატზე ემოციური ზეგავლენის მიზნით გამოიყენება. მიჩნეულია, რომ ფატიკური ემოციების მეშვეობით ინგლისელები გამოხატავენ არა იმდენად საკუთარ ემოციებს, რამდენადაც თავის დამოკიდებულებას პარტნიორის ან მოვლენებისადმი.

საინტერესოა, რომ ზოგადად ინგლისურ საკომუნიკაციო სტილს ემოციური თავშეკავებულობა ახასიათებს (მასში ემოციების თავისუფალი გამოხატვა ცუდ ტონად, ხოლო თავშეკავება და თვითკონტროლი ღირსებათ ითვლება). ქართული ენა უფრო ხატოვანია და გაცილებით ემოციურად გადმოსცემს ადამიანის სულიერ მდგომარეობას და განწყობას.

- Why, **you precious thing**, you! Is it just coke?
- უი, **შენ შემოგვევლოს ჩემი თავი!** [ჯაბ. 64].
- **ოქრო ხარ!** მარტო ლიმონათი? [ინ. 59].
- No, **honey**, no, no, **honey**. Stay here. Don't go back in there. Stay with me and don't look.
- ნუ, **ჩემო კარგო**, ნუ **შენი ჭირიმე**, **შენ შემოგვევლე**, აქ იყავ, ნუ მიხვალ იქ... [ჯაბ. 121].
- არა, არა, **საცვარელო...** არ გინდა, არ გინდა. იქ არ არის თქვენი ადგილი. აქ დარჩით, ჩემთან, ნუ იხედებით იქით... [ინ. 117].
- Your looks are okay.
- დასაწუნი არაფერი გჭირთ [ჯაბ. 29].
- **საკაიფოდ** გამოიყურებით [ინ. 25].

ეს შემთხვევა საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მთარგმნელებს ორი სხვადასხვა სტილი აქვთ მოშველიებული, ერთი თუ ნეიტრალურ სტილს მიმართავს აზრის გადმოტანისას, ინასარიძე სასაუბრო (კოლოკვიალურ) სტილს იყენებს, სადაც ჟარგონის მეშვეობით ცდილობს ემოციის შენარჩუნებას თარგმანში.

ისევე როგორც ქართულში, ინგლისურშიც შორისდებულებს უშუალო კავშირი აქვს ემოციის გამოხატვასთან. შორისდებულები მარტივად გადადიან ენიდან ენაში, რისი მაგალითიცაა, შორისდებულების „Wow!“, „Yeah!“ და „Ok!“ გავრცელება ქართველი ახალგაზრდების მეტყველებაში. მიმართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა ადრესატის ყურადღების მიპყრობა, რაშიც მათ ხშირ შემთხვევაში შორისდებულებს ეხმარება.

- **Aw, go rut.**
- წინ იყურე არაფერი შეგეშალს [ჯაბ. 37].
- წადი შენი... [ინ. 32].

„ტრამვაი, რომელსაც ოცნება ჰქვია“ ემოციების თარგმნა კულტურათშორისი კომუნიკაციის სპეციფიკურ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს. ტიპოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა ნაწარმოების პერსონაჟების ეთნოკულტურული არაერთგვაროვნება, რაც კომუნიკაციის განსხვავებულ ეთნოსტილში ვლინდება (შეად. სტენლის, პაბლოს, ზანგი ქალის, ბლანშის ენობრივი პორტრეტები); ნაწარმოების პერსონაჟები იყენებენ კონსტრუქციული (ნაკლებად) და დესტრუქციული კომუნიკაციის ენობრივი გამოხატვის მთელ სპექტრს, თუმცა ქართული თარგმანები ემოციათა გადმოცემისას ითვალისწინებენ კომუნიკაციის ქართულ ეთნოსტილთან დაკავშირებულ ნიუანსებს; ორიგინალის ემოციების ინტერპრეტაციისას მთარგმნელები ქართული რეალობიდან ამოდიან, რაც ზოგიერთ შემთხვევაში შეუსაბამობას იწვევს (იხ. მესამე თავი).

## დასკვნა

დასკვნაში შეჯამებულია კვლევის შედეგები და აღნიშნულია „ტრამვაი, რომელსაც “სურვილი” ჰქვია“ გ.ჯაბაშვილისა და ლ.ინასარიძისეული თარგმანების ძლიერი და სუსტი მხარეები.

დრამატურგიულ ტექსტში „ტრამვაი, რომელსაც სურვილი ჰქვია“, პერსონაჟთა ენობრივი პორტრეტისა და მათი სპეციფიკის შესწავლამ ინდივიდის სამეტყველო კულტურასა და სოციო-ფსიქოლოგიურ მახასიათებლებზე დაყრდნობით საშუალება მოგვცა, დაგვედგინა:

1. დრამატურგიულ ტექსტში თარგმანის სპეციფიკამ ენობრივი საშუალებების შერჩევის პრინციპები განაპირობა, რაც სცენურობის ფაქტორს უკავშირდება. მთარგმნელების საერთო მიდგომად უნდა ჩავთვალოთ დრამატურგიული ტექსტის თარგმანში მისი ორგვარი ბუნების გათვალისწინება (წერილობითი და ზეპირი ფაქტურის) და ნიშნების შეხამება. თუ წერილობითი

ტექსტი მთარგმნელს საშუალებას აძლევს, განმარტოს უცხო რეალია და პერსონაჟის შესაძლო ინტერპრეტაციის ნიუანსები, სცენაზე მსახიობს ამის საშუალება არ აქვს და თარგმნილ სიტყვას სცენური გარემოს ფონზე წარმოთქვამს, ამიტომ გ.ჯაბაშვილისა და ლ.ინასარიძის თარგმანებში უხვად ვპოულობთ ზეპირი ტექსტის ისეთ თვისებებს, როგორცაა: რეპლიკის ელიპტურობა, პრესუპოზიციები და იმპლიკაციები, როგორც ქვეტექსტის შექმნის საშუალება, ასევე ყურადღებას იქცევს დისკურსიული მარკერების, ნაწილაკებისა და მიმართვების დიდი რაოდენობა.

2. სცენურობა განპირობებს მთარგმნელის ამოცანას, შეინარჩუნოს ფრაზის აგების პრინციპი, რომელიც „სცენური ენერჯის“ თავისებური მუხტის მატარებელია (ტემპი, რიტმი, ინტონაცია). ორივე მთარგმნელი ამ მიზნით ხშირად იყენებს პარაცელირებულ კონსტრუქციებს, რომელიც ზეპირ კომუნიკაციაზე, ამ შემთხვევაში სცენაზეა გათვლილი. მაგ.: კი მაგრამ... სად, სად... სად არის? [ჯაბ. 11]. თქვენ... ტბისპირას რომ ვსეირნობდით და გაკოცეთ, თქვენ... [ინ. 66].

3. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მთარგმნელები თავისი ეპოქის ნიშნებსაც – ენას, პოეტიკას, თარგმნის მანერას – ასახავენ, რაც შესაბამის გემოვნებაში, თანამედროვე სლენგში, სკაბრებული ლექსიკის თავისუფალ გამოყენებაში ვლინდება. ის, რაც ჯაბაშვილის დროს მიუღებელი იყო, 30 წლის შემდეგ მისაღები გახდა და ენობრივი პროცესების დინამიურობაზე მიგვანიშნებს. ეს ცვლილებები გარკვეული თვალსაზრისით ახალ სოციალურ-პოლიტიკურ პარადიგმაზე გადასვლასაც უკავშირდება.

4. ორიგინალისადმი დამოკიდებულება, რომლის მიხედვით მხატვრულ თარგმანში არაფერი არ უნდა იყოს გამოტოვებული, დამატებული ან გადასხვაფერებული, ნაკლოვანებებიც კი, ავტორისეულ უზუსტობებს ინარჩუნებენ.

5. მთარგმნელებს აერთიანებთ პერსონაჟთა მეტყველებისა და დრამაში ასახული პერიოდის სალაპარაკო ენის შესაბამისობის პრინციპი, თუმცა ჯაბაშვილისა და ინასარიძის თარგმანებს 30 წლიანი მონაკვეთი აშორებს და დროსთან ერთად შეიცვალა ტექსტის ადრესატიცა და მხატვრული გემოვნებაც.

6. მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომელიც დაკავშირებული იყო „პირველმთარგმნელობის“ პრიორიტეტთან და, ხშირ შემთხვევაში, ზღუდავდა ლ.ინასარიძის არჩევანის თავისუფლებას. მთარგმნელი ყოველთვის ცდილობს, გაემიჯნოს უკვე არსებულ თარგმანს; სურს, დაასაბუთოს ახალი თარგმანის საჭიროება და უპირატესობა, რამაც

გამოსახვის ორიგინალური ხერხების ძიებისას ზოგიერთ შემთხვევაში გაუმართლებელი ჩანაცვლებებიც გამოიწვია. მაგ.: ვზივართ (უნდა იყოს ვსხედვართ), პოლონეთელი (პოლონელის ნაცვლად), უბირი გლუხი (ამერიკული სინამდვილის დახასიათებისას სასურველად არ მიგვაჩნია).

7. მთარგმნელების ინდივიდუალური მანერის გამოსავლენად მივმართეთ ორი ტიპის ემპირიულ მასალას: ტექსტობრივ სინამდვილეში პერსონაჟების ინტერაქციის საფუძველზე გამოვლენილ ლინგვოპერსონალურ მარკერებს და დრამაში ასახულ “უთარგმნელ ერთეულებს”. მათ საფუძველზე გამოვავლინეთ მთარგმნელთა სტილის თავისებურებები.

8. გ.ჯაბაშვილის მთარგმნელობითი მიდგომა ეფუძნება ძირითად ტრანსლატოლოგიურ პოსტულატებს, მაგრამ აქვს საკუთარი სტილიც:

ა) მისთვის დამახასიათებელია დიალექტური ფორმების აქტიური გამოყენება, რასაც ის კოლორიტის შესაქმნელად იყენებს და ძირითადად ჟარგონიზმების, მდაბიური მეტყველების გადმოსატანად იყენებს.

ბ) თვალშისაცემია მისი პერიოდის სალაპარაკო და ჟარგონული ერთეულების თანამედროვე ენასთან შეუსაბამობა, რაც აღნიშნული ერთეულების ლოკალურ-ტემპორალური ხასიათით არის განპირობებული.

გ) ურთიერთობის რეგისტრის მკაცრი დაცვა. მისი „კონსერვატივში“ სიმუსტისკენ მიდრეკილებაში ვლინდება, რასაც ინასარიძესგან განსხვავებით, ის უმეტეს შემთხვევებში აღწევს.

დ) ინგლისურის გავლენა “tail-questions”-თან მიმართებაში.

ე) ფილოლოგიზმი — მკითხველზე და არა დადგმაზე ორიენტაცია, რაც ლიტერატურის თვალსაზრისით ლამაზ და გრძელ ფრაზებში აისახება, მაგრამ დადგმის დინამიკისთვის წამგებიან ფაქტორს წარმოადგენს.

9. ლ.ინასარიძის სტილისთვის დამახასიათებელია:

ა) თანამედროვე ჟარგონის აქტიური გამოყენება.

ბ) დიალექტური ფორმების უკიდურესი სიმწირე (განსხვავებით ჯაბაშვილისგან).

გ) ინგლისური გრამატიკული კონსტრუქციის “tail-questions”-ის გავლენით ის ქართულ კითხვით წინადადებასაც ზოგჯერ უადგილოდ ურთავს ფორმანტებს „განა“ და „არა“.

დ) ფორმანტი „და“ –ს დამატება სალაპარაკო იერის მისაცემად.

ე) სკაბრეზული ლექსიკის თავისუფალი გამოყენება.

პერსონაჟთა ლინგვოპერსონალური მარკირების რელევანტურობასთან ერთად მთარგმნელთა სტილური სპეციფიკა ჩვენ უთარგმნელი ერთეულების

გადმოტანის ხერხების ანალიზზეც განვიხილეთ და დავადგინეთ, რომ მთარგმნელებს აერთიანებს „უთარგმნელი ერთეულების“ გადმოტანასთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპები, რომელთაგან გადახვევა დრამატურული ტექსტისა და პერსონაჟების სპეციფიკის გამო ხდება.

### **დისერტაციის თეზისთან დაკავშირებული პუბლიკაციების წუსება:**

1. Translating and Genre:Drama. Homo Loquens, Georgian Multilingual Association, №6, 2014, (გვ. 121-126).
2. Translation and Peculiarities of Linguo-National Models of Universe. Homo Loquens, Georgian Multilingual Association. №7, 2015, (გვ. 25-31).
3. “Speech image“ and communicative behavior of literary character. Homo Loquens, Georgian Multilingual Association, №7, 2015, (გვ. 41-47).
4. ლინგვოპერსონოლოგიური გალერეა ტენესი უილიამსის “ტრამვაი, რომელსაც “სურვილი” ჰქვიას” გ.ჯაბაშვილისა და ლ.ინასარიის თარგმანების მიხედვით. სამეცნიერო რეფერირებადი (peer reviewed) ჟურნალი “ენა და კულტურა“, შრომები №16, მერიდიანი, 2016, (ISSN 1987-7323, გვ. 21-25).
5. ტექსტის ჟანრობრივი ტიპოლოგია და თარგმანი. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათაშორისი დიალოგები“.

**Iakob Gogebashvili Telavi State University**

*With the right of manuscript*

**Nino Gorgisheli**

**Linguistic Portrait of Character in the Drama Text and  
Specificity of Its Translation (on the example of  
“A Streetcar Named Desire” by Tennessee Williams;  
text translation by G. Jabashvili and L. Inasaridze)**

**Dissertation Presented for the Degree (1005)**

**PhD in Philology**

**Abstract**

**Specialty: Typological Linguistics**

**Telavi  
2017**



The Dissertation has been carried out at the Department of Georgian Philology and the Department of Foreign Languages and Literature, Faculty of Humanities, Iakob Gogebashvili Telavi State University.

Academic Supervisors:                    **Nunu Geldiashvili**  
Professor  
**Manana Gharibashvili**  
Professor

Reviewers:                                    **Tamar Lomtadze**  
Professor  
**Nikoloz Parjanadze**  
Professor

The defense of the dissertation will be held on \_\_\_\_\_  
2017 at the meeting of the Dissertation Board of the Faculty of  
Humanities, Iakob Gogebashvili Telavi State University, building  
\_\_\_\_\_, room \_\_\_\_\_.

Address: Telavi, 2200, Georgia  
#1, Kartuli Universiteti Street  
Tel: +995 (350) 27 24 01

The dissertation is available in Iakob Gogebashvili Telavi State  
University library and on website: <http://tesau.edu.ge>

Scientific Secretary of the Dissertation Board  
Doctor of Philological Sciences,  
Professor: **Nino Kochloshvili**

## General Description of Dissertation

